დანართი 1

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევების გრანტით დაფინანსების 2025 წლის კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (ბტუ) აკადემიური პერსონალის მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში მოღვაწეობას, კვლევების ხარისხის გაუმჯობესებასა და ბტუ-ს პრიორიტეტული დარგების განვითარებას შიდა ინსტიტუციური კვლევითი პროექტების მხარდაჭერის გზით;
2. კონკურსის ფარგლებში დიფინანსების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით;
3. კონკურსის თემას წარმოადგენს **ინოვაციები და ციფრული ტრანსფორმაცია,** რომელიც მოიცავს ბტუ-ს პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებებს: ციფრული მმართველობას, განათლების მენეჯმენტს, ჯანდაცვის მენეჯმენტს, ეკონომიკას, ხელოვნურ ინტელექტს, მწვანე და განახლებად ენერგიებს, ციფრულ მარკეტინგს, ბიზნესის ადმინისტრირებას, კიბერ და სამოქალაქო უსაფრთხოებას და ფსიქოლოგიას.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის უფლება და ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ბტუ-ს აფილირებულ პერსონალს, არააფილირებულ ან/და მოწვეულ პერსონალს, რომელიც არ არის აფილირებული საქართველოს არცერთ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან;
2. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბტუ-ს ან სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
3. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მაქსიმუმ 6 თვე;
4. პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს;
5. პროექტის ბიუჯეტი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
   ა) პერსონალის საგრანტო დაფინანსება - არ უნდა აღემატებოდეს ბტუ-დან მოთხოვნილი თანხის 40%-ს;
   ბ) კვლევითი საქმიანობის ხარჯი;
   გ) კვლევის შედეგების გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯი (კონფერენციაში მონაწილეობა, პუბლიკაციის გამოქვეყნება, კვლევის საკითხებთან დაკავშირებული მივლინება და სხვა).

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2);
   ბ) პროექტის მონაწილე აკადემიური პერსონალის პროფესიული ბიოგრაფია (დანართი 3);
   გ) საპროექტო წინადადება (დანართი 4);
   დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 5);

ე) პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და დასაბუთება (დანართი 6).

2. კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს **როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე,** დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

მუხლი 4. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირმა საკონკურსო დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს **2025 წლის 19 მაისის 18:00 საათისა;**
2. პროექტის დოკუმენტები გაერთიანებული ორი (ქართული და ინგლისურენოვანი) PDF ფაილის სახით, განცხადებასთან ერთად, უნდა გამოიგზავნოს ელ.ფოსტაზე: **info@btu.edu.ge;**
3. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის განაცხადი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს რეგისტრაცია.

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:
   ა) კონკურსის გამოცხადება;
   ბ) განაცხადების რეგისტრაცია;
   გ) კონკურსზე რეგისტრირებული განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა;
   დ) განაცხადების შეფასება;
   ე) გამარჯვებულის გამოვლენა.
2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ჩატარდება ტექნიკური ექსპერტიზა;
3. ბტუ უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას განაცხადი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრული ან ყალბი ინფორმაცია.

მუხლი 6. პროექტების შეფასება და დაფინანსების წესი

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების ფასდება დარგის ექსპერტებისგან დაკომპლექტებული კომისიის მიერ;
2. კომისიის შემადგენლობას და ფუნქციონირების წესს განსაზღვრავს ბტუ-ს რექტორი;
3. კომისიისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით შედგება პროექტის რანჟირებული სია და დაფინანსდება მხოლოდ ყველაზე მაღალი შეფასების მქონე პროექტი.

მუხლი 7. პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. კომისიის მიერ პროექტი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები და განმარტებები	ქულები
1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი	მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 5
კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა და შესამაბისობა საკონკურსო თემატიკასთან, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის	

ფორმულირება, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია.	
2. აკადემიური კომპონენტი	მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 5
პროექტის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პროფესიული ბიოგრაფია და კომპეტენცია კვლევის თემატიკასთან შესაბამისობის კუთხით	
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა, პროექტის ბიუჯეტი	მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 5
პროექტის გეგმა-გრაფიკის განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან, პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება.	
საბოლოო ქულა	მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 15

2. შეფასების სამი კრიტერიუმიდან (1 – სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, 2 – აკადემიური კომპონენტი, 3 – პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა) თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 15 ქულა.

კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	შეფასება	განმარტება
1	სუსტი	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	დამაკმაყოფილებელი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები
3	საშუალო	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
4	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება
5	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს, არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი.

3. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასების მაქსიმალური 15 ქულიდან 9 ან მეტი ქულის მიღება.
4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტს, რომელიც უმაღლეს ქულას დააგროვებს პირველ კრიტერიუმში. ამ უკანასკნელშიც თანაბარი ქულის

დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება პროექტს, რომელიც უმაღლეს ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად მეორე/მესამე კრიტერიუმში.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია, დამოუკიდებელი კომისიის წევრი იყოს პირი, რომელიც:
   - არის ამავე კონკურსის მონაწილე;
   - რომელსაც ბოლო 3 წლის მანძილზე აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის პერსონალთან ან აქვს მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტი;
   - რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;
   - რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;
   - რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში, არის პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავი, პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი ან შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

გამარჯვებული აპლიკანტი ვალდებულია პროექტის დასრულების შემდეგ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად წარმოადგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ანგარიში და თანმხლები მასალა.